2024-2025 სასწავლო წლის სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამები

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი..... 2
სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი..... 3
ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი 5

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მისამართი: თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ., 1, 0179; საკონტაქტო პირი: ქრისტინე ჩიხლაძე ელ-ფოსტა: christine.chikhladze@tsu.ge; ტელ: 555323303

სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის მიზანია პროფესიონალი მასწავლებლის მომზადება, რომელიც აღჭურვილი იქნება სათანადო საგანმანათლებლო და ფსიქოლოგიური დარგობრივი კომპეტენციებით. პროგრამა ეფუძნება პრინციპს - ყველა ბავშვს აქვს უფლება, მიიღოს ზოგადი განათლება და მაქსიმალურად გამოავლინოს თავისი პოტენციალი. შესაბამისად, პროგრამის მიზანია სათანადო კვალიფიკაციის, ცოდნისა და უნარების მქონე პირთა მომზადება. პროგრამა ეფუძნება სპეციალური მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს, ითვალისწინებს „სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელში“ მოცემულ დებულებებსა და რეკომენდაციებს. სწავლის შედეგები ცოდნა და გაცნობიერება: 1. მსჯელობს და გადმოსცემს ინკლუზიური განათლების არსს, ძირითად პრინციპებსა და ფილოსოფიურ საფუძვლებს 2. განსაზღვრავს ესგ-ის ადაპტაციის, აკომოდაციისა თუ მოდიფიკაციის შესაძლებლობა 3. აღწერს და განმარტავს ბავშვის განვითარების კანონზომიერებასა და თავისებურებებს 4. განმარტავს და ასაბუთებს სასკოლო საზოგადოების (სკოლა, ოჯახი, თემი) მოლოდინების, დამოკიდებულებების უნარები: 5. ავლენს ინდივიდის სავარაუდო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებასა და ახდენს დროულ რეფერირებას სპეციალისტთან 6. შეადგენს და განახორციელებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, უზრუნველყოფს სასწავლო გარემოში თანამონაწილეობისა და მიკუთვნებულობის ხელშეწყობას 7. მონაწილეობს სსსმპ ტრანზიციის გეგმის შემუშავებასა და განხორციელებაში 8. იყენებს სწავლის უნივერსალური დიზაინის პრინციპებს 9. მუშაობს მტკიცებულებაზე დაფუძნებული პრაქტიკის პრინციპების საფუძველზე. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა: 10. იცავს პროფესიული საქმიანობის პროცესში თანამედროვე სტანდარტებსა და ეთიკურ ნორმებს; 11. ახდენს თვითრეფლექსიას საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე, გეგმავს და ახორციელებს, პროფესიული განვითარების აქტივობებს.

აკრედიტაციის ვადა	სწავლების ენა	მისაღები ადგილების რაოდენობა	კრედიტების რაოდენობა	წლიური სწავლის საფასური	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდა	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილი დამატებითი პირობა	სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში ჩასაბარებელი საგნის გამოცდა
01.07.2025	ქართული	37	60	2250	შიდა, წერითი გამოცდა	სავალდებულოა ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული დიპლომი და საგანმანათლებლო ინსტიტუციებში (სკოლები, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები და ა.შ.), დღის ცენტრებსა და ანალოგიურ დაწესებულებებში სწავლების არანაკლებ ორწლიანი გამოცდილება.	საბაზო პროფესიული უნარები

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მისამართი: ბათუმი, 6010 რუსთაველის/ნინოშვილის ქ. 32/35; საკონტაქტო პირი: მარინე გურგენიძე, ტელ: 579251231, ელ-ფოსტა: marine.gurgenidze@bsu.edu.ge

სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია პროფესიონალი სპეციალური მასწავლებლის მომზადება, რომელიც: ✓ ფლობს ცოდნას ინკლუზიური განათლების არსის, მისი ძირითადი პრინციპებისა და ფილოსოფიური საფუძვლების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლების მეთოდების, სტრატეგიებისა და დახმარების ტექნოლოგიების შესახებ; ✓ ახდენს მოსწავლეთა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების ადრეულ იდენტიფიცირებას, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს უქმნის შესაბამის სასწავლო გარემოს, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში, აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაში; ✓ აცნობიერებს სწავლა-სწავლებასთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობას, არსებული გამოწვევების ფონზე, სასწავლო პროცესში სსსმ მოსწავლის ჩართვასა და განვითარებაზე პასუხისმგებელ პირებთან ერთად, დარგის სიახლეების გათვალისწინებით პოულობს საუკეთესო გამოსავალს და აღწევს დასახულ საგანმანათლებლო მიზნებს.

აკრედიტაციის ვადა	სწავლების ენა	მისაღები ადგილების რაოდენობა	კრედიტების რაოდენობა	წლიური სწავლის საფასური	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდა	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილი დამატებითი პირობა	სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში ჩასაბარებელი საგნის გამოცდა

01.07.2025	ქართული	30	60	2250	ზოგადი კომპეტენციების გამოცდა	საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვთ არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირებს, რომლებმაც წარმატებით ჩააბარეს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული საბაზო პროფესიული უნარების გამოცდა, რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადებში დარეგისტრირდნენ ბსუ-ში, სრულყოფილად წარმოადგინეს დოკუმენტაცია და ჩააბარეს ბსუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდა. პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს უნდა ჰქონდეს საგანმანათლებლო ინსტიტუციებში (სკოლები, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები და ა. შ.), დღის ცენტრებსა და ანალოგიურ დაწესებულებებში სწავლების არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება, რომელიც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით (დამსაქმებელი ორგანიზაციის მიერ გაცემული ცნობით, შრომის წიგნაკიდან ამონაწერით).	საბაზო პროფესიული უნარები

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

მისამართი: თბილისი, საქართველო, 0179 ი. ჭავჭავაძის გამზირი #53ა; საკონტაქტო პირი: ანა ხუციშვილი, ტელ: 597153535, ელ-ფოსტა: a.khutsishvili@sangu.edu.ge

სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის მიზანია მოამზადოს პროფესიონალური საქმიანობისთვის სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ პრაქტიკული უნარების, თეორიული ცოდნისა და მეთოდების სათანადო გამოყენებას. ამის გათვალისწინებით კი, თანამედროვე გამოწვევების ფონზე, აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის შექმნან შესაბამისი სწავლა- სწავლების გარემო და ამ პროცესში გაიაზრონ სპეციალური მასწავლებლის როლი და პასუხისმგელობა. შედეგები: პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია ცოდნის დემონსტრირება პოზიტიური სასწავლო გარემოს ფორმირების, მოსწავლესა და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვის, წარმართვის და შეფასების და პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვის საკითხებზე და აქვს აღნიშნული ცოდნის საქმიანობაში ეფექტურად გამოყენების უნარი.

აკრედიტაციის ვადა	სწავლების ენა	მისაღები ადგილების რაოდენობა	კრედიტების რაოდენობა	წლიური სწავლის საფასური	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდა	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილი დამატებითი პირობა	სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში ჩასაბარებელი საგნის გამოცდა
01.07.2025	ქართული	70	60	2250	გასაუბრება, სამოტივაციო წერილი	დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია საგანმანათლებლო ინსტიტუციებში (სკოლები, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები და ა.შ.), დღის ცენტრებში და ა.შ. სწავლების არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება. ასევე, ჩაბარებული უნდა ჰქონდეს საბაზო პროფესიული უნარების გამოცდა სპეც. მასწავლებლებისთვის.	საბაზო პროფესიული უნარები